სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

18 ივლისი 2023 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 116

ინფორმატიკაში EJOI 2023 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადისათვის საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელთა გუნდის დამტკიცების თაობაზე

„წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2022 წლის 30 დეკემბრის N1684326 ბრძანების დანართის ქვეპროგრამა 3-ის (საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების ქვეპროგრამა), „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტისა და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N897796, 18.07.2023) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ინფორმატიკაში EJOI 2023 ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიადის მწვრთნელთა გუნდი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ლიდერი - ზაზა გამეზარდაშვილი (თავისუფალი უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი);

ბ) თანალიდერი - ვახტანგ შეკიშვილი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განათლების მართვისა და საინფორმაციო სისტემის IT სპეციალისტი, ქუთაისის ა. რაზმაძის სახ. ფიზიკა-მათემატიკის 41-ე საჯარო სკოლის ინფორმატიკის პედაგოგი).

2. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის მთავარ სპეციალისტს ამ ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

ერეკლე ასტახიშვილი